ოქმი №5

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2024 წლის 11 ნოემბერს.

**სხდომა დაიწყო** 12:00 საათზე, დამთავრდა 12:10 საათზე.

**სხდომას ესწრებოდნენ:** სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლ. უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ზ. ნაჭყებია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ი. ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე - ბ. ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ი. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ლ. ჯინორია.

**ასევე ესწრებოდა:** სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლ. უჩანეიშვილი.

დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი :

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლ. უჩანეიშვილი

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 7; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

**მოისმინეს:** 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლ. უჩანეიშვილი

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2024 წლის 8 ნოემბერს შემოსულია სენაკის მუნიციპლიტეტის მერიიდან მომართვა №40-402431314 (სარეგისტრაციო №12-41243132-41) განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდით 44.02.23.214 სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე“, სადაც მოთხოვნილია წარმოდგენილი პროექტის განხილვა და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა და ასევე აღნიშა, რომ მიზანშეწონილია დაინიშნოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა წარმოდგენილი საკითხის განსახილველად.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 7; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. სენაკის სმუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას განსახილველად წარედგინოს საკითხები შემდეგი დღის წესრიგის პროექტის სახით:

დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი :

,,1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე- საბა ოდიშარია

2. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საკადასტრო კოდით 44.02.23.214 სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე- საბა ოდიშარია”

2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა, რომელიც გაიმართება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 13 ნოემბერს.

3. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი - ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 ნოემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თობაზე“.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ლევანი უჩანეიშვილი